



ელექტროენერჯის ბირჟაზე ვაჭრობის ანგარიში 2025 წლის III კვარტალი




ბირჟის მონაწილეები

2025 წლის მესამე კვარტლის ბოლოს ბირჟაზე, დღით ადრე ბაზარზე მონაწილეობისათვის რეგისტრირებული იყო 24, ხოლო დღიურ ბაზარზე მონაწილეობისათვის - 17 მონაწილე.

ელექტროენერჯის ბირჟის მონაწილეთა სრული სია შეგიძლიათ იხილოთ ბირჟის ოპერატორის ვებგვერდზე - www.genex.ge. ნახაზზე №1 მოცემულია 2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დღით ადრე და დღიურ ბაზარებზე დარეგისტრირებული მონაწილეების რაოდენობა.

ნახაზი №1. ბირჟის მონაწილეების რაოდენობა



ვაჭრობა


2025 წლის მესამე კვარტალში დღით ადრე ბაზარზე მონაწილეებმა ივაჭრეს 34,850 მგვტ.სთ ელექტროენერჯია, რაც ამავე წლის მეორე კვარტალში ნავაჭრ რაოდენობაზე (93,115 მგვტ.სთ) თითქმის 3-ჯერ ნაკლებია, თუმცა 3-ჯერ აღემატება 2024 წლის მესამე კვარტალში ნავაჭრ რაოდენობას (12,660 მგვტ.სთ).

როგორც ნახაზი №2.1- ზეა ნაჩვენები, აგვისტოს თვეში მიწოდების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, სექტემბრის თვეში კი მიწოდების განაცხადი არ განთავსებულა (რაც აისახა შეუმდგარ ტრანზაქციებში). 2025 წლის მესამე კვარტლის განმავლობაში, მხოლოდ რამდენიმე დღეს აღემატებოდა მიწოდება მოთხოვნას, ძირითად შემთხვევებში კი ბაზარზე დეფიციტი იყო. მსგავსი დინამიკა შეინიშნებოდა 2024 წლის მესამე კვარტალშიც (ნახაზი №2.2), როდესაც ძირითადი რაოდენობის ვაჭრობა ივლისის თვეში განხორციელდა, აგვისტოსა და სექტემბერში კი მნიშვნელოვნად შემცირდა მიწოდება და შესაბამისად, ნავაჭრი რაოდენობაც.


2025 წლის მესამე კვარტალში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მოთხოვნა 4 აგვისტოს 19:00 საათის მიწოდებისთვის დაფიქსირდა (149.5 მგვტ.სთ), რაც ქვეყნის მთლიანი მოთხოვნის

დაახლოებით 6.2%-ს შეადგენდა, ყველაზე მაღალი მიწოდება კი - 22 ივლისს (181.2 მგვტ.სთ), რამაც მთლიანი მიწოდების 8.7% შეადგინა.

ნახაზი №2.1. 2025 წლის III კვარტალში დღით ადრე ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება



ნახაზი №2.2. 2024 წლის III კვარტალში დღით ადრე ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება




ნახაზზე N3 მოცემულია 2024-2025 წლის მესამე კვარტალში მყიდველების მიერ დაზოგილი თანხა და ამავე პერიოდში ნავაჭრი ელექტროენერჯის რაოდენობა. 2025 წლის ივლისი-

სექტემბრის განმავლობაში მომხარებლებმა დაზოგეს 911,044.42 ლარი, რაც 2024 წლის იმავე პერიოდში დაზოგილ თანხას (362,972.32 ლარი) თითქმის 2.5-ჯერ აღემატება.

ნახაზი №3. 2024-25 წლების III კვარტალში დღით ადრე ბაზარზე მყიდველების მიერ დაზოგილი


თანხა




ნახაზზე №4 მოცემულია შერჩეული საათების მიწოდების მრუდები. A შემთხვევაში, მომხმარებლებმა დეფიციტის გამო, ვერ შეძლეს მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება. B შემთხვევაში კი, ბაზარზე პროფიციტის მიუხედავად, ვერც მიმწოდებლებმა გაყიდეს შეთავაზებული ელექტროენერჯია სრულად და ვერც მომხმარებლებმა შეიძინეს სასურველი რაოდენობის ელექტროენერჯია, რადგან არ იყვნენ მზად გადაეხადათ 139 ლარი/მგვტ.სთ.

ნახაზი №4. მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები შერჩეული საათებისთვის

A: 30-07-2025 : 09:00




B: 25-07-2025 : 09:00




ნახაზი №5-ზე მოცემულია 2025 წლის მესამე კვარტალში ვაჭრობის შედეგები. ივლისში საშუალო ფასი 132.43 ლარი/მგვტ.სთ დაფიქსირდა, ხოლო აგვისტოში 144.13 ლარი/მგვტ.სთ.

ნახაზი №5. 2025 წლის III კვარტალში დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობის შედეგები



აქტიური ვაჭრობის პერიოდში, თვის ჭრილში ფასები მნიშვნელოვნად არ იცვლება, რაც იმით აიხსნება, რომ ელექტროენერგიით მოვაჭრეები საორიენტაციო ფასად მიმდინარე თვის მოსალოდნელ საბალანსო ელექტროენერგიის ფასს იღებენ.


ნახაზი №6. ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ელექტროენერგიის რაოდენობა



მონაწილეთა აქტიურობის კლება შესაძლოა დავეკავშიროთ რამდენიმე მიზეზს. მაგალითად - მდინარეების ჩამოღინება შემცირებულია და ჰიდროელექტროსადგურები რეზერვუარებში ინახავენ წყალს ზამთრისა და გვიანი შემოდგომის გაზრდილი მოთხოვნისათვის. თუ ზაფხულის პერიოდში მწარმოებლებთან გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების (PPA) მოქმედება შეჩერებული იყო, ახლა ელექტროსადგურები PPA ხელშეკრულებებით ყიდიან ელექტროენერჯის სრულ მოცულობას. ნახაზი №6 ცხადყოფს, რომ მაისიდან თანდათან შემცირდა ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ელექტროენერჯის რაოდენობა, აგვისტოში კი მინიმუმს მიაღწია.

ნახაზზე №7 მოცემულია დერეგულირებული ელექტროსადგურისა და საბალანსო ელექტროენერჯის ფასები. აღსანიშნავია, რომ საბალანსო ელექტროენერჯის ფასი მკვეთრად მზარდ დინამიკაშია და აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის ფასებსაც.


ნახაზი №7. დერეგულირებული ელექტროსადგურისა და საბალანსო ელექტროენერჯის ფასები



ნახაზზე №8 წარმოდგენილია თვეების მიხედვით აგრეგირებული მოთხოვნა და მიწოდება, დაყოფილი გაყიდულ და გაუყიდავ კომპონენტებად. ნახაზი ცხადყოფს, რომ კვარტლის


განმავლობაში აგრეგირებული მოთხოვნა ბევრად აღემატება მიწოდებას, სექტემბერში კი მიწოდების განაცხადი არ დაფიქსირებულ

ნახაზი №8. განაცხადით განთავსებული და ვაჭრობის შედეგები დღით აღრე ბაზარზე



2025 წლის III კვარტალში, წინა პერიოდების მსგავსად, ბირჟაზე ჩამოყალიბებული საშუალო ფასი საბალანსო ელექტროენერჯის ფასზე ნაკლები იყო. ნახაზზე №9 მოცემულია დღით აღრე ბაზრის საშუალო შეწონილი ფასის და საბალანსო ელექტროენერჯის ფასის შედარება 2025 წლის III კვარტლის თვეებისთვის.

ნახაზი №9. დღით აღრე ბაზრის საშუალო ფასი და საბალანსო ელექტროენერჯის ფასი



წყარო: www.esco.ge, საქართველოს ენერჯეტიკული ბირჟა